

**„სილქნეტის“ და „ჯეოსელის“ ერთობლივი შეთავაზება (აქცია) პირებისთვის,  
რომლებიც ერთდროულად არიან „ჯეოსელის“ და „სილქნეტის“ აბონენტები**

1. „სილქნეტის“ აბონენტები, ასევე პირები, რომლებიც გახდებიან სილქნეტის აბონენტები, და რომლებიც ასევე არიან ან გახდებიან „ჯეოსელის“ აბონენტები და „სილქნეტის“ მომსახურებებზე სააბონენტო ბაზაში საკონტაქტო ნომრად მითითებული ექნებათ / მიუთითებენ „ჯეოსელის“ მობილურ სატელეფონო ნომერს, „ჯეოსელის“ მოცემულ ნომერზე შეძლებენ ისარგებლონ ჯეოსელის შიდა ქსელში ულიმიტო ზარებით სპეციალურ ფასად, ხოლო „სილქნეტის“ მომსახურება(ებ)ზე ფასდაკლებით.
2. შეთავაზების გააქტიურება შესაძლებელია: „ჯეოსელის“ ნომრიდან გაგზავნილი USSD კოდის (\*155#) საშუალებით, ასევე „ჯეოსელის“ მობილური აპლიკაციიდან და ონლაინ პორტალიდან.
3. შეთავაზებაში ჩართვა შესაძლებელია 2018 წლის 18 აპრილიდან 23 ივლისის ჩათვლით პერიოდში.
4. შეთავაზების მოქმედების ვადა განისაზღვრება ჯეოსელის ნომერზე შეთავაზების გააქტიურებიდან 90 კალენდარული დღით.
5. შეთავაზებაზე რეგისტრაციამდე, აბონენტი აცხადებს თანხმობას ან უარს, რომ სილქნეტში დაცული მისი პერსონალური მონაცემები (საკონტაქტო ნომერი და მომსახურების სტატუსი) დამუშავდეს ჯეოსელის სასარგებლოდ.
6. შეთავაზება ვრცელდება „სილქნეტის“ ისეთ აბონენტებზე, რომლებიც სარგებლობენ/ ისარგებლებენ შემდეგი პროდუქტით/პროდუქტებით:
  - ოპტიკური (GPON/P2P) ტექნოლოგიის ცალკე მდგომ ინტერნეტი, სილქ ტვ, სილქფონი მომსახურება ან ამ მომსახურებების ნებისმიერი კომბინაცია, მათ შორის სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზება
  - ცალკე მდგომი PSTN მომსახურება, DSL ინტერნეტ მომსახურება, DSL ტელევიზია, ასევე ამ მომსახურებების ერთ საბონენტო ანგარიშზე ჩართული ნებისმიერი კომბინაცია, ასევე DSL სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზება
  - Silk LTE 4G სახლისთვის
  - Silk LTE 4G VOIP
  - CDMA სახლის ფიქსირებული უსადენო ტელეფონი
  - S1 მობილური ტელეფონი, s1 ორმაგი და s1 სამმაგი შეთავაზება, ან მომსახურებების ნებისმიერი კომბინაცია, რომელიც მოიცავს s1-ს.
  - სილქ ტვ OTT, სილქ ტვ OTT საქართველო
  - სილქფონ OTT
7. შეთავაზებაში მონაწილეობს მე-6 პუნქტით განსაზღვრული „სილქნეტის“ მომსახურებების ყველა სააბონენტო პაკეტი, გარდა CDMA სახლის ფიქსირებული უსადენო სატელეფონო მომსახურების "ლაით" პაკეტისა.
8. შეთავაზება თავსებადია „ჯეოსელის“ შემდეგ სატარიფო გეგმებთან ლაილაი, Geocell 01, Geocell 10, SME.
9. შეთავაზების ფარგლებში მე-6 პუნქტით განსაზღვრული მომსახურებ(ებ)ის მიმღები „სილქნეტის“ აბონენტები ისარგებლებენ „სილქნეტი“ მომსახურება(ებ)ზე ფასდაკლებით, ხოლო „ჯეოსელის“ შეთავაზებაზე - სპეციალური პირობებით.
10. „ჯეოსელის“ ნომრის შეთავაზებაში ჩასართავად აუცილებელია „ჯეოსელის“ ნომერი მითითებული იყოს „სილქნეტის“ მომსახურებებზე სააბონენტო ბაზაში ძირითად საკონტაქტო ნომრად. „სილქნეტის“ სააბონენტო ბაზაში შესაძლებელია მხოლოდ ერთი ძირითადი საკონტაქტო ნომრის მითითება.
11. შეთავაზების გასააქტიურებლად „სილქნეტის“ მომსახურებები არ უნდა იყოს შეზღუდული ცალმხრივად ან ორმხრივად. თუ „ჯეოსელის“ სატელეფონო ნომერი მითითებულია „სილქნეტის“ რამდენიმე სააბონენტო ანგარიშზე ძირითად საკონტაქტო ნომრად, იმისათვის, რომ აბონენტმა შეძლოს შეთავაზების გააქტიურება, ერთი სააბონენტო ანგარიში მაინც უნდა იყოს აქტიური (არ უნდა იყოს შეზღუდული ცალმხრივად/ორმხრივად). დასაშვებია აქციაზე რეგისტრაცია განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ „სილქნეტის“ მომსახურებები არის დროებით შეჩერებული. „ჯეოსელის“ ნომერზე შეთავაზების გასააქტიურებლად ჯეოსელის ნომრის სტატუსი უნდა იყოს აქტიური.

12. „სილქნეტის“ აბონენტს აქვს საშუალება შეთავაზებაში ჩართვის მიზნით, „სილქნეტის“ სააბონენტო ბაზაში ძირითადი საკონტაქტო ნომერი შეცვალოს ან დააფიქსიროს ახალი (თუ კონკრეტულ სააბონენტო ანგარიშზე არ უფიქსირდება არც ერთი საკონტაქტო ნომერი), „სილქნეტში“ არსებული აბონენტის იდენტიფიცირების წესის დაცვით.
13. საკონტაქტო ნომრის ცვლილების შემთხვევაში შეთავაზებაში უკვე ჩართული ჯეოსელის ნომერი შეთავაზებიდან გაითიშება, თუ ნომერი არ ფიქსირდება სილქნეტის სხვა სააბონენტო ანგარიშის ძირითად საკონტაქტო ნომრად. სილქნეტის ბაზაში ძირითად საკონტაქტო ნომრად დამატებული ჯეოსელის ახალი ნომრის შეთავაზებაში ჩართვა შესაძლებელია საკონტაქტო ნომრად დამატების შემდეგ ნებისმიერ დროს, თუ არ არის დასრულებული შეთავაზების გააქტიურების ვადა და აბონენტი დააფიქსირებს შეთავაზების გააქტიურების სურვილს. სააბონენტო ბაზაში ახალდამატებულ საკონტაქტო (ჯეოსლის) ნომერზე შეთავაზების გააქტიურების შემთხვევაში შეთავაზების მოქმედების ვადა აითვლება თავიდან.
14. სილქნეტის ერთი სააბონენტო ანგარიშის ფარგლებში რაოდენობრივად არ იზღუდება ძირითადი საკონტაქტო ნომრის ცვლილება და ყოველ შეცვლილ ნომერზე შეთავაზების ხელახლა გააქტიურება (შეთავაზების გააქტიურების სურვილის დაფიქსირებით, მე-2 პუნქტში მითითებული ერთ-ერთი საშუალებით); საკონტაქტო ნომრის ერთზე მეტჯერ ცვლილების შემთხვევაში, ასევე არ იზღუდება იგივე ნომრის ხელახლა ჩართვა ამ შეთავაზებაში.
15. ჯეოსელის სააბონენტო ნომერზე შეთავაზების გაუქმება შესაძლებელია ჯეოსელის აბონენტის მიერ შეთავაზების გაუქმებაზე ჯეოსელის ცხელ ხაზზე სურვილის დაფიქსირებით.
16. ჯეოსელის სააბონენტო ნომერზე შეთავაზების გაუქმების შემთხვევაში არ არის შეზღუდული იგივე სააბონენტო ნომრის ხელმეორედ შეთავაზებაში ჩართვის შესაძლებლობა იგივე ან სხვა სააბონენტო ანგარიშის ნომერზე. შეთავაზების მოქმედების ვადის ათვლა დაიწყება თავიდან.
17. შეთავაზების პირობების გაუქმების ან შეთავაზების მოქმედების პერიოდის ამოწურვის შემდეგ ჯეოსელის სააბონენტო ნომერზე შეთავაზების ფარგლებში გააქტიურებული პირობა გაუქმდება და როგორც ჯეოსელის აბონენტი, ისარგებლებს ნომერზე გააქტიურებული სტანდარტული პირობით (შეთავაზების პირობების გაუქმების თაობაზე ჯეოსელის აბონენტს შეთავაზების გაუქმებისთანავე ეცნობება სმს შეტყობინებით, ხოლო შეთავაზების მოქმედების ვადის ამოწურვის შესახებ ჯეოსელის აბონენტს ეცნობება სმს შეტყობინებით როგორც 1 დღით ადრე, ასევე გაუქმებისთანავე).
18. სილქნეტის მომსახურებ(ებ)ის აბონენტს (რომელიც შესაძლოა იმავდროულად არ იყოს სილქნეტის სააბონენტო ანგარიშზე ძირითად საკ. ნომრად მითითებული ჯეოსელის მობ. ნომრის აბონენტი), შეუძლია მოითხოვოს სილქნეტის საკონტაქტო ნომრების ბაზიდან მის საკონტაქტო ნომრად დაფიქსირებული ჯეოსელის ნომრის ამოღება, აღნიშნულის თაობაზე ძირითად საკონტაქტო ნომრად მითითებული ჯეოსელის მობ. ნომრის აბონენტის თანხმობის მოპოვების გარეშე, სტანდარტული იდენტიფიცირების გავლის შემდეგ (აღნიშნულის თაობაზე ჯეოსელის აბონენტს შეთავაზების გაუქმებისთანავე ეცნობება სმს შეტყობინებით).
19. სილქნეტის მომსახურებების ცალმხრივად შეზღუდვის შემთხვევაში, თუ ჯეოსელის ნომერი, რომელზეც შეთავაზების პირობაა გააქტიურებული, არ იძებნება სილქნეტის სხვა ანგარიშზე არსებულ აქტიურ მომსახურებებზე ძირითად საკონტაქტო ნომრად, ჯეოსელის ნომერზე უნდა გაუქმდეს შეთავაზების პირობები (აღნიშნულის თაობაზე ჯეოსელის აბონენტს გაუქმებისთანავე ეცნობება სმს შეტყობინებით). სილქნეტის ცალმხრივად შეზღუდული მომსახურებების აღდგენის (გააქტიურების) შემდეგ, აბონენტმა, შეთავაზებაში ჩასართავად ხელახლა უნდა დააფიქსიროს შეთავაზების ჩართვის სურვილი მე-2 პუნქტში მითითებული შეთავაზების გააქტიურების ერთ-ერთი საშუალებით (თუ არ არის გასული შეთავაზებაზე რეგისტრაციის ვადა). აქციის მოქმედების ვადის ათვლა დაიწყება თავიდან.
20. აბონენტი ვერ გააქტიურებს შეთავაზებას, თუ აბონენტის ნომერზე შეთავაზების გააქტიურებისას ფიქსირდება შეთავაზებასთან არათავსებადი რომელიმე პირობა. აბონენტი ჯეოსელის ნომერზე არსებული არათავსებადობის შემთხვევაში ინფორმაციას მიიღებს USSD კოდზე პასუხად, შეთავაზების გააქტიურების მცდელობისთანავე. სილქნეტის მომსახურებ(ებ)ზე არსებული არათავსებადი პირობის შემთხვევაში აბონენტი პასუხს მიიღებს USSD კოდით შეთავაზების გააქტიურების მოთხოვნის დაფიქსირების შემდეგ, SMS შეტყობინებით.
21. შეთავაზების მოქმედების პერიოდში არ არის შეზღუდული მომსახურებ(ებ)ის დროებით შეჩერების შესაძლებლობა. სილქნეტის მომსახურებ(ებ)ის დროებით შეჩერება მოხდება სტანდარტული პირობების შესაბამისად. სილქნეტის მომსახურებ(ებ)ის შეჩერება არ გამოიწვევს ჯეოსელის ნომერზე შეთავაზების პირობებით სარგებლობის შეზღუდვას.
22. სილქნეტის მომსახურებების გაუქმების შემთხვევაში, თუ ანგარიშზე არ რჩება მე-6 პუნქტში მითითებული სილქნეტის რომელიმე მომსახურება და ამასთან, თუ ჯეოსელის ნომერი, რომელზეც შეთავაზების პირობაა გააქტიურებული, არ

იძებნება სილქნეტის სხვა ანგარიშზე არსებულ მომსახურებებზე ძირითად საკონტაქტო ნომრად, ჯეოსელის ნომერზე გაუქმდება შეთავაზების პირობები (აღნიშნულის თაობაზე ჯეოსელის აბონენტს გაუქმებისთანავე ეცნობება სმს შეტყობინებით).

23. შეთავაზების მოქმედების პერიოდში, არ არის შეზღუდული სილქნეტის და ჯეოსელის პაკეტების/სატარიფო გეგმის ცვლილება. შეთავაზებაში ჩართული აბონენტის მიერ, ფიქსირებული უსადენო ქსელით სატელეფონო ( CDMA ) მომსახურების სააბონენტო პაკეტის, "ლაით" პაკეტით ცვლილების შემთხვევაში, აბონენტს გაუქმდება წინამდებარე შეთავაზება, თუ ნომერი არ ფიქსირდება სილქნეტის სხვა სააბონენტო ანგარიშის ძირითად საკონტაქტო ნომრად.
24. შეთავაზებაში ჩართული სილქნეტის მომსახურებ(ებ)ის გაუქმება ხდება მომსახურებ(ებ)ის გაუქმების სტანდარტული პირობების შესაბამისად. სილქნეტის მომსახურებ(ებ)ის გაუქმებისას შეწყდება შეთავაზების პირობები 23-ე პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესაბამისად.
25. შეთავაზებაში ჩართული სილქნეტის აბონენტი მისამართის შეცვლამდე არსებულ მომსახურებების მოწყობის მისამართზე გააქტიურებული შეთავაზებით გააგრძელებს სარგებლობას ახალ მისამართზეც, თუ აბონენტი არ შეცვლის სილქნეტის მომსახურებების ძირითად საკონტაქტო (ჯეოსელის) ნომერს ახალ მისამართზე.
26. შეთავაზებაში ჩართული აბონენტი ტექნოლოგიის შეცვლამდე არსებულ ტექნოლოგიაზე გააქტიურებული შეთავაზებით გააგრძელებს სარგებლობას ახალ ტექნოლოგიაზეც, თუ აბონენტი არ შეცვლის სილქნეტის მომსახურებების ძირითად საკონტაქტო ნომერს (ჯეოსელის) ახალ ტექნოლოგიაზე.
27. სილქნეტის მომსახურების გადაფორმების შემთხვევაში, თუ მოხდება სილქნეტის სააბონენტო ბაზაში მომსახურებების ძირითადი საკონტაქტო ნომრის ცვლილება, მოხდება შეთავაზების პირობის შენარჩუნება ან გაუქმება მე-13 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესაბამისად. თუ გადაფორმების პროცესში სილქნეტის მომსახურებების ძირითადი საკონტაქტო ნომერი შენარჩუნდება, შეთავაზების მოქმედება არ შეწყდება და იმოქმედებს შეთავაზების ვადის ამოწურვამდე.